THE CONFRONTATION BETWEEN CICERO AND ANTONY
ციცერონსა და ანტონიუსს შორის დაპირისპირება

KAKHABER SURGULADZE
Doctor of History, Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

Abstract: The article deals with the confrontation between Cicero and Mark Antony, which was the most dramatic event in Ancient Rome after the assassination of Caesar in 44-43 BC. This event ultimately determined the establishment of Gaius Octavian's rule in the country.

It is noted that after Caesar's assassination, Antony's aspiration for dictatorship convinced Cicero of the futility of Senatorial opposition. He understood that whoever destroyed Antony would bring an end to the civil war in the Republic, which Cicero regarded as the logical continuation of the cause initiated by the conspirators. In the struggle against Antony, he also involved Octavian. According to Cicero's plan, he himself would serve as the political leader, while Octavian would act as the military commander.

Cicero was characterized by easy and swift victories as in the cases of Verres and Catiline. He also prevailed against Clodius, though this was achieved through a very hard struggle. Although Cicero suffered defeat in his confrontation with Caesar, he preserved what mattered most - his dignity. Only his clash with Mark Antony took on the nature of a life-and-death struggle. Cicero's strength lay in his words. It was precisely in the ″Philippics″ that the orator voiced public accusations against Antony, in which the twists and turns of the struggle between the Republicans and the Caesarians were also revealed.

In the critical situation, Cicero made political miscalculations. The coalition of Antony, Lepidus, and Octavian placed him on the list of outlaws. The orator's death later took on the form of a literary myth. Virtually every writer who addressed this event agreed that the great Roman died a heroic death. While other episodes of Cicero's life had provoked differing opinions -he was often accused of egoism, inconsistency, and so on - this time everyone was unanimous that, before his death, he behaved with remarkable dignity, as befits a true hero. Cicero was the last "lone lion" defending the Republic, and with his death, the existence of the republican opposition in ancient Rome essentially came to an end.

Key words: Ancient Rome, confrontation between Cicero and Antony, Philippics, proscriptions.

კახაბერ სურგულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

აბსტრაქტი. სტატიაში საუბარია კეისრის მკვლელობის შემდეგ, ძვ.წ. 44-43 წლებში, ანტიკურ რომში განვითარებულ მოვლენებიდან ყველაზე მწვავე მარკუს ციცერონსა და მარკუს ანტონიუსს შორის მიმდინარე დაპირისპირებაზე, რომელმაც ქვეყანაში განსაზღვრა გაიუს ოქტავიანეს მმართველობის დამყარება.

შენიშნულია, რომ კეისრის მკვლელობის შემდგომ, ანტონიუსის სწრაფვამ დიქტატორობისკენ ციცერონი დაარწმუნა სენატური ოპოზიციის უპერსპექტივობაში. მან იცოდა, ვინც გაანადგურებდა ანტონიუსს ის დაასრულებდა რესპუბლიკაში მიმდინარე

შინა ომს, რომელსაც ციცერონი შეთქმულთა მხრიდან (კეისრის მკვლელების) დაწყებული საქმის ლოგიკურ დასრულებად თვლიდა. ანტონიუსის წინააღმდეგ ბრძოლაში მან ოქტავიანეც ჩართო. ციცერონის გეგმით თვითონ იქნებოდა პოლიტიკური, ხოლო ოქტავიანე სამხედრო ბელადი.

ციცერონისთვის დამახასიათებელი იყო ადვილი და სწრაფი გამარჯვებები. ასე იყო ვერესის და კატილინას შემთხვევაში. კლოდიუსთან მან გაიმარჯვა, მაგრამ ეს მიაღწია უდიდესი ბრძოლის წყალობით. მართალია კეისართან დაპირისპირებაში ციცერონმა მარცხი განიცადა, მაგრამ შეინარჩუნა მთავარი – ღირსება. მხოლოდ მარკუს ანტონიუსთან მისმა ჭიდილმა მიიღო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სახე. ციცერონის ძალა მისი სიტყვები იყო. სწორედ „ფილიპიკებში“ გააჟღერა ორატორმა საზოგადოებრივი ბრალდებები, რომლებშიც გაცხადდა რესპუბლიკელთა და კეისარიანელთა შორის ბრძოლის პერიპეტიები.

მისთვის კრიტიკულ ვითარებაში ციცერონმა პოლიტიკურ გათვლებში ლაფსუსები დაუშვა. ანტონიუს-ლეპიდუს-ოქტავიანეს კოალიციამ ციცერონი კანონგარეშეთა სიაში შეიყვანა. ციცერონი იყო რესპუბლიკის დამცველი უკანასკნელი „მარტოხელა ლომი“ და მისი სიკვდილით არსებითად დამთავრდა ანტიკური რომში რესპუბლიკური ოპოზიციის არსებობა.

საძიებო სიტყვები: ანტიკური რომი, ციცერონის და ანტონიუსის დაპირისპირება, ფილიპიკა, პროსკრიპციები

შესავალი

ძვ.წ. 44 წელს, სენატის კურიაში, შეთქმულებმა მოკლეს გაიუს იულიუს კეისარი (ძვ.წ. 100-44). დიქტატორის მკვლელობის შემდეგ, ძვ.წ. 44-43 წლებში, ანტიკურ რომში განვითარებული მოვლენებიდან ყველაზე დრამატული იყო მარკუს ციცერონსა (ძვ.წ. 106-43) და მარკუს ანტონიუს (ძვ.წ. 83-30) შორის მიმდინარე დაპირისპირება. კეისრის მკვლელობის შემდგომ, ანტონიუსის სწრაფვამ დიქტატორობისკენ, ციცერონი დაარწმუნა სენატური ოპოზიციის უპერსპექტივობაში. მან გაიაზრა, რომ ვინც გაანადგურებდა ანტონიუსს ის დაასრულებდა რესპუბლიკაში მიმდინარე შინა ომს, რომელსაც ციცერონი შეთქმულთა მხრიდან (კეისრის მკვლელების) დაწყებული საქმის ლოგიკურ დასრულებად თვლიდა. ციცერონ–ანტონიუსის დაპირისპირებამ ანტიკურ რომში განსაზღვრა გაიუს ოქტავიანეს (ძვ.წ. 63-ახ.წ. 14) დიქტატურის დამყარება.

მეთოდები

ნაშრომი დაიწერა კეისრის მკვლელობის შემდგომი პერიოდის მოვლენის მთავარი ფიგურანტის – ციცერონის ეპისტოლეების, სიტყვების და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე. ციცერონის ეპისტოლეები ძვ.წ. 44–43 წლების ფაქტების აღწერაში პირველი თანადროული წყაროა. გვიანდელი თაობის ისტორიკოსები (პლუტარქე...) მოვლენის მონაწილეებთან არ იყვნენ პირადი ურთიერთობით დაკავშირებული, ამიტომაც ფაქტს რეტროსპექტულად აფასებდნენ და ეყრდნობოდნენ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს. მათთან ციცერონ–ანტონიუსის დაპირისპირებას „რომანი–ტრილერის“ სახე ჰქონდა.

წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა დამუშავდა საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებული სპეციალური-სამეცნიერო მეთოდებით: დედუქციის მეთოდით მოხდა ზოგადიდან კონკრეტულამდე ახალი ცოდნის მიღება. ისტორიულ-სისტემური და რეკონსტრუქციის მეთოდებით შევძელით ძვ.წ. 44–43 წლების მოვლენების პერსონების სახეებით განხილვა მთლიანობაში, მათი ფსიქოლოგიის შესწავლა და ეპოქის სულისკვეთების გადმოცემა.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი. მეთოდების და მეთოდოლოგიის კომბინაციამ საშუალება მოგვცა რეალურად წარმოვაჩინოთ ციცერონსა და ანტონიუსს შორის დაპირისპირების სურათი.

დისკუსია და შედეგები

ციცერონის ურთიერთობა ანტონიუსების ოჯახთან ძვ.წ. 64 წლიდან საკონსულო არჩევნებიდან დაიწყო. მაშინ მარკუს ანტონიუსის ბიძა – გაიუსი (ძვ.წ. 106–42) ორატორის ჯერ მოწინააღმდეგე, ხოლო შემდეგ კი თანაკონსული იყო. გაიუსი იდიოზური ფიგურა გახლდათ. ჯერ სულანელი, შემდეგ კატილინარელი. ციცერონს შეეძლო მისი გაფუჭება, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. უფრო მეტიც, ძვ.წ. 59 წელს მან გაიუსი სასამართლოში კიდეც დაიცვა. ციცერონის მოწინააღმდეგე კატილინარელთა რიგებში იბრძოდა მარკუს ანტონიუსის მამობილი – პუბლიუს კორნელიუს ლენტულუს სურა (ძვ.წ. ?114–63). მაშინ დედამ – იულიამ, ციცერონის ცოლს ტერენციას, თხოვა დახმარება, მაგრამ უშედეგოდ. ლენტულუსის დასჯა მარკუს ანტონიუსისთვის დიდ ტრამვად დარჩა, რამაც მის შეგნებაში ჩანერგა ციცერონისადმი სიძულვილი (Белкин, 2002: 138).

ანტონიუსი ციცერონზე 23 წლით უმცროსი იყო. გამორჩეული ფიზიკური ძალა მას საშუალებას აძლევდა ჯარისკაცებთან ერთად ადვილად გადაეტანა ომის სირთულეები. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდობა გარყვნილებაში გაატარა, ამ თვისებებს ავსებდა მისი მოხერხებულობა, რაც ანტონიუსს საშუალებას აძლევდა, ეპოვა გამოსავალი ურთულესი სიტუაციებიდან და წარმატებით გადაეჭრა კეისრის მიერ დაყენებული რთული სამხედრო და პოლიტიკური პრობლემები (Боруxович, 1983: 128).

ანტონიუსის და ციცერონი გზები პირველად ციცერონ-კლოდიუსის დაპირისპირებისას გადაიკვეთა, მაშინ მარკუსი უკანასკნელის თანამზრახველი იყო (Plut., Ant., II). ცხადია, კლოდიუსის დამარცხება ანტონიუსის დამცირებას ნიშნავდა, მაგრამ ციცერონი მაშინ დიდების ზენიტში იყო, ამიტომაც უკანასკნელმა ჩრდილში ყოფნა ამჯობინა. ძვ.წ. 53 წელს კეისრის მითითებით ანტონიუსმა ციცერონის სასარგებლოდ უარი თქვა ავგურობაზე და სანაცვლოდ ორატორისგან მიიღო მხარდაჭერა კვესტორობაში (Cic., Phil., II, XX, 49). ძვ.წ. 52–50 წლებში ანტონიუსი „გალიის ომის“ მონაწილეა. ძვ.წ. 49-45 წლების სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ანტონიუსი იყო იტალიის ბატონ-პატრონი, მან ვერ გაბედა ციცერონზე ხელის ხლება, რადგანაც იგი კეისარს სჭირდებოდა (Cic., Phil., II, III, 5). ძვ.წ. 47 წელს ანტონიუსი დაქორწინდა კატილინას ნაცოლარზე – ფულვიაზე და ამიერიდან მათ გაუჩნდათ ციცერონისადმი საერთო სიძულვილი (Белкин, 2002: 151).

ციცერონ-ანტონიუსის დაპირისპირება გაამძაფრა კეისრის სიკვდილის შემდგომ ანტიკურ რომში პოლიტიკურ ძალთა პოლარიზებით შექმნილმა ვითარებამ. კეისრის მკვლელების მიმართ მაშინ ციცერონი იტყვის, რომ „ეს საქმე სულით მამაცმა ადამიანებმა შეასრულეს, მაგრამ სრულიად ბავშვური გეგმით“ (Cic., Att., XIV, 21, 3). რომის საზოგადოება დაიყო რესპუბლიკისა და კეისრის პროგრამის მომხრეებად. რესპუბლიკურ ფრთას განასახიერებდნენ ციცერონი, ბრუტუსი (ძვ.წ. 85–42) და კასიუსი (ძვ.წ. 86–42). ხოლო კეისარიანელებისას ანტონიუსი, ლეპიდუსი (ძვ.წ. 90–13) და ოქტავიანე. კეისარიანელების ძალა იყო: პატრონის ხელში აღზევებული სენატორები, მოსყიდული პლებსი, რომის მოქალაქეობას მიღებული იტალიკები, პროვინციალები და რაც მთავარია – არმია. კეისრის სიკვდილის შემდეგ სისტემის დაცვას სწორედ ვეტერანები ასრულებდნენ (Billows, 2009: 252).

საერთოდ, კეისრის მკვლელობა მოულოდნელი დარჩა ანტონიუსისა და ლეპიდუსისათვის. პირველი იყო თანაკონსული და იურიდიულად ქვეყნის პირველი პირი, მეორე კი კავალერიის უფროსი. ტრაგედიის შემდეგ ორივე მიიმალა. ანტონიუსი სიცოცხლეს ბრუტუსს უნდა უმადლოდეს (Plut., Brut., XVIII). მაშინ იყო, რომ „მეოცნებე ფი-

ლოსოფოსმა“, ბრუტუსმა, დაუშვებლად მიიჩნია ბრალდების გარეშე მისი დასჯა (Борухович, 1983: 125). ანტონიუსი მხოლოდ 17 მარტს გამოჩნდა, როდესაც დარწმუნდა, რომ შეთქმულთაგან არავინ ერჩოდა.

ძვ.წ. 44 წლის 17 მარტს, ანტონიუსმა დედამიწის (Tellus) ტაძარში მოიწვია სენატის სხდომა. მას დაესწრო თითქმის ყველა სენატორი. იქ იყვნენ კეისრის მომხრეები, ანტონიუსის მხარდამჭერები, დიქტატორის მკვლელები და გაურკვეველი მრწამსის მქონენი. ციცერონის აღწერით, ბევრი სენატორი ვინც წინა დღეს შეთქმულების მომხრეთა ქმედებების საჯაროდ მოწონება გაბედა. „ლიბერალიის დროს, რომელ სენატორს შეეძლო სენატში არ მოსულიყო? ... მაშინაც კი, როცა ჩვენ მოვედით, შეგვეძლო თავისუფლად გამოგვეხატა ჩვენი აზრი? და განა ჯერ არ უნდა გაგვეძევებინა შეიარაღებული ვეტერანები ყველა შესაძლო საშუალებით, სანამ არანაირი დაცვა არ გვქონდა?“ (Cic., Att., XIV, 14, 2). სხდომაზე მკვლელობის ორგანიზატორები შეეცადნენ კეისრის ტირანად გამოცხადებას და ამით თავიანთი ნამოქმედარის გამართლებას (სურგულაძე, 2009: 378–379). საპირისპირო პოზიცია დაიკავა ლეპიდუსმა. მან კეისრისთვის შურისძიება და კაპიტოლიუმზე თავშეფარებულებისთვის ომის გამოცხადება მოითხოვა (Wiseman, 2009: 220).

აშკარად გამოჩნდა, რომ იმ მომენტისთვის ანტონიუსი, როგორც კონსული, არ იყო მზად საკუთარ თავზე აეღო პასუხისმგებლობა ქალაქში ღია ომის გაჩაღებისთვის (Wiseman, 2009: 221), ამიტომაც იგი სხვა გზით წავიდა და სენატორებს შესთავაზა „დაევიწყებინათ წარსული“, რადგან კეისრის ტირანად აღიარება მთელი მისი კანონმდებლობის და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების უარყოფა იქნებოდა (Машкин, 1949: 124). ყველასთვის მოულოდნელად ანალოგიური აზრი უფრო გაბედულად განავითარა ციცერონმა - „მე გთავაზობთ შევინარჩუნოთ კეისრის გადაწყვეტილებები არა იმიტომ, რომ ვიწონებ მათ, არამედ ყველაზე მაღლა ვაყენებ მშვიდობას“ (Cic., Phil., I, VII, 16).

ციცერონის ძალა მის სიტყვებში იყო (Макарова, 2012: 41). ორატორი, რომელიც ყოველთვის ფენათა თანხმობის (concordia ordinum) იდეით გამოდიოდა, ამ შემთხვევაშიც ქვეყანაში არსებულ რეალობას გაუწია ანგარიში. მისი აზრით, საყოველთაო თანხმობისთვის საჭირო იყო არა მარტო კეისრის დროს მიღებული კანონების შენარჩუნება, არამედ იმათიც, „რომლებსაც გვთავაზობენ მისი სიკვდილის შემდეგაც“ (Cic., Phil., I, VII, 16). ამ რთულ პოლიტიკურ კლიმატში, ციცერონი, რომელიც იყო გამოცდილი პოლიტიკოსი და უპრინციპო კომპრომისების ოსტატი (Борухович, 1983: 130), სენატორებს შესთავაზა კეისრის ბრძანებულებების დადასტურება. ორატორის კომპრომისული წინადადება სენატმა მიიღო. მკვლელები იურიდიულად აღიარეს დამნაშავედ, მაგრამ მათ მაშინვე გამოუცხადეს ამინისტია (ალექსშვილი, 1961: 218). ეს იმას ნიშნავდა, რომ რესპუბლიკელები და მონარქისტები შექმნილ ვითარებაში ერთმანეთში მორიგდნენ. შედეგით კმაყოფილი ციცერონი იტყვის: „ზევსის ტაძარში ჩავდე მშვიდობის საფუძველიო“ (Cic., Phil., I, I, 1).

კეისრის ცხედრის კრემაციამ მოვლენების უფრო ექსკალაცია გამოიწვია. ფორუმზე შეკრებებს ხელმძღვანელობდა ბერძენი გეროფილე. რომში მას ვეტექიმად იცნობდნენ (Цветаева, 1947: 228), ციცერონის სიტყვით იგი „გაქცეული მონა“ იყო (Cic., Phil., I, II, 5). გეროფილემ ლეგენდარული მარიუსის შვილიშვილად აღიარებისთვის შუამდგომლობა აღძრა ჯერ კეისრის, შემდეგ ოქტავიანეს და ბოლოს ციცერონის წინაშეც (Cic., Att., XII, 49, 2). საპასუხო წერილში ციცერონს დაურწმუნებია, რომ იგი არ საჭიროებდა მისგან დაცვას, მაგრამ მაინც დაპირებია შუამდგომლობას (Cic., Att., XII, 48, 1). 12 აპრილს, ანტონიუსის ბრძანებით, გეროფილი შეიპყრეს და დასაჯეს. ამ ქმედებით მან ხალხის რისხვა დაიმსახურა (Toher, 2004: 181), მაგრამ ციცერონი ფაქტს კმაყოფილებით შეხვდა: „მარიუსის შესახებ კარგია – წერდა იგი – ახლა ანტონიუსი მხარდაჭერას პოულობს ბრუტუსისგანაც“ (Cic., Att., XIV, 8, 1). ნიშანდობლივია, რომ გასამართლების გარეშე დასჯა რომაული კანონმდებლობით განსაზღვრული არ იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ანტონიუსი ისევე

მოიქცა, როგორც ციცერონი თავის დროზე კატილინარელების წინააღმდეგ (Цветаева, 1947: 231).

გეროფილეს დასჯამ დაძაბულობა არ განმუხტა. საპასუხოდ, მისმა მომხრეებმა დაიკავეს ფორუმი, ანტონიუსს იგნორირება გაუკეთეს და მაგისტრატებისგან მოითხოვეს კეისრის სახელზე მსხვერპლშეწირვის ჩატარება (Cic., Att., XIV, 8, 1). ნათელი გახდა, რომ მღელვარებამ რელიგიური შეფერილობა მიიღო (Цветаева, 1947: 230). სიტუაცია კონტროლს სცილდებოდა. აქ ციცერონი კარდინალური მოქმედების მომხრეცაა და იგი მეგობარს წერდა: „ანტონიუსს, რომ ეგრძნო სწორი გზის დანახვის აუცილებლობა, მაშინ აზატების შეთქმულებას ადვილად ჩაახშობდაო“ (Cic., Att., XIV, 5, 1). მღელვარებამ ფართო სახე მიიღო, ახლა ციცერონის მთელი იმედები ოქტავიანესკენ იყო მიპყრობილი (Cic., Att., XIV, 6, 1). იმ მომენტში ორატორი დაბნეულიც ჩანდა და მეგობარს წერდა: „ჩვენ საფიქრებელია გავთავისუფლდით მეფისგან და არა სამეფო ძალაუფლებისგან“ (Cic., Fam., XII, 1, 1). სახელისუფლებო კრიზისი რომში ღრმავდებოდა. სიტუაციის განმუხტვა ანტონიუსმა ლეგიონების რომში შეყვანით მოახერხა. აპრილის მიწურულს არეულობას საბოლოო წერტილი კი პუბლიუს დოლაბელამ (ძვ.წ. 69–43) დაუსვა (Cic., Att., XIV, 15, 2; Машкин, 1949: 128). მეგობრისადმი წერილში ორატორი გაოცებას ვერ მალავდა როგორ მოახერხა დოლაბელამ „მისი სამუდამო ლიკვიდაცია“ (Cic., Att., XIV, 17a, 1-2). იგი consul-suffect–ი (კონსულის მოადგილე) იყო და მისი მითითებით, გეროფილეს მომხრეები შეიპყრეს. მათგან მონები გალურსმეს, ხოლო თავისუფლები კლდიდან გადაყარეს (Цветаева, 1947: 231). დოლაბელას სიმკაცრე ციცერონისთის მისაღებია. ორატორი დასძენდა, რომ „სასჯელის გადაჭარბებული სიმკაცრე იწვევს არა მხოლოდ სიძულვილს, არამედ იგი სასიამოვნოა ხალხისთვის, ყველა პატიოსანი ადამიანისთვის და ბრბოს ნებისმიერი წევრისთვისაც“ (Cic., Att., XIV, 17a, 7).

გეროფილეს ლიკვიდაციის მიუხედავად ქვეყანაში დაძაბულობა არ გამქრალა. კეისრის ანდერძის მიხედვით მემკვიდრე ოქტავიანე (ბელინსკი მას „გენიალურ მედად“ მოიხსენიებდა (Белинский, 1926: 352) იყო, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას ანტონიუსი დოლაბელასთან და ლეპიდუსთან ერთად ფლობდა. ანტონიუსის ხელში იყო ხაზინა და კეისრის ჩანაწერები. კეისრის მემკვიდრეობაზე მას კარნახობდა დიქტატორის გვერდით განვლილი გზა. იგი ძვ. წ 54 წელს მიემხრო კეისარს. მართალია, უკანასკნელი არ იზიარება ანტონიუსის ცხოვრების წესს, მაგრამ დასავიწყებელი არ იყო მისი გადამწყვეტი მოქმედება ფარსალოსის ბრძოლაში. არადა, ჩანდა, რომ ანტონიუსი დიდი პოლიტიკისთვის არ იყო დაბადებული. მას არ ჰქონდა მთავარი - პოლიტიკური შედეგის წინასწარ შეცნობის უნარი. დასაწყისში თითქოს სწორი გათვლები გააკეთა: გეროფილეს მოშორებით სენატის ზომიერ ფრთას დაუახლოვდა, კონტაქტები გააბა მარკუს ბრუტუსთან და გაიუს კასიუსთან (Cic., Fam., XI, 2, 1). მანვე თბილი წერილი გაუგზავნა სენატის ყველაზე გავლენიან პირს – ციცერონს და სთხოვა კლოდიუსის ვაჟის, თავისი გერის – სექსტუსისადმი კეთილგანწყობა (Cic., Att., XIV, 13a, 2). ამ საკითხში ციცერონმა დათმობა ამჯობინა. კიდეც იტყვის: „მე არ მქონდა მისდამი განსაკუთრებული ზიზღი“ (Cic., Att., XIV, 13b, 3).

ამის გარდა, ანტონიუსმა მოითხოვა სექსტუს პომპეუსის (ძვ.წ. 67-35) რეაბილიტაცია, მისი ადმირალად დანიშვნა და 50 მილ. სესტერციუმის კომპენსაციის მიცემა (Машкин, 1949: 134). სექსტუსის გამოჩენამ ციცერონი შეაშფოთა. იგი მეგობარს წერდა: „ეს სურათი და ჩანაფიქრი მაფიქრებს..., რომ იგი მოვა ჯარით და იქნება ომი“ (Cic., Att., XIV, 22, 2). სენატმა მიიღო ანტონიუსის წინადადება, რადგან პომპეუსის მეშვეობით ფიქრობდა იგი დემოკრატიული რეჟიმის აღდგენას, მაგრამ გარიგება არ შედგა. სექსტუსი რომში არ დაბრუნდა, შესაბამისად მასთან დაკავშირებული სენატის გეგმები ჩაიშალა (Шифман, 1990: 34).

სენატის წინააღმდეგობის მიუხედავად, ანტონიუსმა მოახერხა მაკედონიის, ხოლო დოლაბელამ სირიის პროვინციების ხელში ჩაგდება. ამ პროვინციებში იყო თავმოყრილი

პართიაზე მიმავალი ჯარი, ხოლო ვისაც ეყოლებოდა არმია, იგი იბატონებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. თანდათან, ჩათვალა რა უკვე თავისი მდგომარეობა მყარად, ანტონიუსმა შეწყვიტა სენატთან შემრიგებლური პოზიციის თამაში. ჯერ იყო და მასთან დაიწყეს რომში დარჩენილი ხორბლის მიზიდვა (Cic., Att., XIV, 13, 1), შემდეგ ვეტერანების რომში თავმოყრა (Cic., Fam., XI, 2, 1-2). ამის გარდა, ანტონიუსმა კომიციების მეშვეობით მოითხოვა დეციმუს ბრუტუსისთვის მიკუთვნებული ციზალპიური გალიის მისთვის გადმოცემა (Cic., Att., XIV, 14, 2). თავისი შეხედულებით მან ბევრი სენატორთა წოდებაშიც აამაღლა. თვითნებურად რომის მოქალაქეობა მიანიჭა სიცილიელებს (Cic., Att., XIV, 12, 1). რეაბილიტაცია გაუკეთა გალატიის მეფე დეოტარუსს (Cic., Phil., II, XXXVII, 93-96. ძვ.წ. 120–41). მარტო კანონდარღვევის 600 ფაქტი ყოფილა დაფიქსირებული (Cic., Att., XIV, 12, 1). ქრთამის აღებაში ყველაზე მეტად ანტონიუსის ცოლი – ფულვია აქტიურობდა (Cic., Att., XIV, 12, 2). არადა, ანტონიუსის განცხადებით „ასეთი იყო კეისრის ნება“.

აშკარა იყო, რომ ანტონიუსის ქმედებები ციცერონში გაღიზიანებას იწვევდა. კეისრის მკვლელობიდან ერთი თვის თავზე ორატორი მეგობარს წერდა: „ჩვენ ვემორჩილებით იმის (კეისარი – კ.ს.) ჩანაწერებს, ვისი მონებიც არ გავმხდარვართ“ (Cic., Att., XIV, 14, 2). ციცერონის შენიშვნით: ტირანია კი დაეცა, მაგრამ ტირანია ისევ ცოცხლობსო (Cic., Att., XIV, 9, 2).

ძვ.წ. 44 წლის ზაფხულში ურთიერთობა დაიძაბა სენატს, ბრუტუსსა, კასიუსსა და ანტონიუსს შორის. კონფლიქტის მიზეზად გახდა რომის პურით მომარაგების საკითხი. ბრუტუსს ევალებოდა პროვინცია აზიაში, ხოლო კასიუსს სიცილიაში ხორბლის შეძენა (Cic., Att., XV, 9, 1). სენატი ამ შემთხვევაში იურიდიულად მართალი იყო, მაგრამ ბრუტუსი, რომელიც დედის გავლენის ქვეშ იყო (Cic., Att., XV, 11), დავალებას ღირსების დამცირებად მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით, 8 ივნისს, ციცერონის, ბრუტუსის, კასიუსის, სერვილიას (ბრუტუსის დედა), ტერტულას (კასიუსის ცოლი), პორციას (ბრუტუსის ცოლი) და ვინმე ფავონიუსის შემადგენლობით გამართულა ოჯახური საიდუმლო თათბირი. მსჯელობის საგანი იყო სენატის გადაწყვეტილება. თათბირზე ციცერონმა მხარი დაუჭირა სენატის დადგენილების შესრულებას, მაგრამ საპირისპირო პოზიცია დაიკავა სერვილიამ, რომელმა დადგენილებიდან აღნიშნული პუნქტის ამოღება მოითხოვა (Cic., Att., XV, 12, 1), ხოლო კასიუსმა საერთოდ უარი განაცხადა სიცილიაში გამგზავრებაზე (Cic., Att., XV, 11, 1). თათბირზე უკმაყოფილება გამოითქვა დეციმუს ბრუტუსის მიმართ (Cic., Att., XV, 11, 2), რომელიც ანტონიუსთან ბრძოლის ნაცვლად ფუჭ ომებს აწარმოებდა ციზალპიურ გალიაში.

აგვისტოში ბრუტუსმა და კასიუსმა მოითხოვეს სენატის დადგენილების გაუქმება. სენატმა არ დასთმო, მაშინ მათ დაარღვიერ პროცესუალური ნორმა, თავიანთი ედიქტით უარი თქვეს მოვალეობის შესრულებაზე და ყველაფერში ანტონიუსი დაადანაშაულეს. ახლა მას წამოაძახეს: ფულის გახარჯვა, ჯარში წამქეზებლური საქმიანობა (Cic., Fam., XI, 3, 2) და ა.შ. ასეთ ფონზე, ოქტავიანეს გამოჩენამ პოლიტიკურ არენაზე მოვლენები სხვა გზით წარმართა. იგი რომში 11 აპრილისთვის ჩავიდა (Toher, 2004: 178). ანტონიუსი და ოქტავიანე ერთმანეთისთვის უცხონი არ იყვნენ და მათ შორის ნათესაური კავშირი არსებობდა. ანტონიუსის დედა – იულია, კეისართა სახლიდან იყო. კეისარი კი ნათესაურ კავშირებს ყოველთვის მნიშვნელობას ანიჭებდა. ანტონიუსის მნიშვნელოვანი თვისება იყო – კეისრის მიმდევრებს შორის გამორჩეული ერთგულება, ამიტომ იყო, რომ მას იგი მეორე რიგის მემკვიდრედ ჰყავდა. ყველაფერი, რაც ანტონიუსს კეისრის სიცოცხლეში სურდა, იგი მისი გარდაცვალების შემდეგ ცდილობდა მოპოვებას: „აცხადებდა, რომ იყო კეისრის ქონების და მისი ძალაუფლების მემკვიდრე“. რაც შეეხება ოქტავიანეს, ანტონიუსი დარწმუნებული იყო, რომ იგი „მარადიულ ქალაქში“ ჩავიდა, როგორც კერძო მოქალაქე, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა მხოლოდ კეისრის ქონებაზე და არა მის სახელზე (Toher, 2004: 182)

საერთოდ, ოქტავიანეს პოლიტიკური დებიუტისთვის შესანიშნავი გარემო დახვდა. კეისრის მკვლელები იზოლაციაში იყვნენ, ხოლო ანტონიუსი კეისარიანელების და სენატის თვალში კომპრომეტირებული. ოქტავიანეს განსაზღვრულიც ჰქონდა პირველი ნაბიჯები. მას ტრიბუნობა უნდოდა, ანტონიუსმა ჩაუშალა. ფორუმზე მამის ოქროს სავარძლის გამოდგმა სურდა, ისიც ანტონიუსმა აუკრძალა და დაპატიმრებითაც დაემუქრა. საერთოდ, კეისრის გაღმერთების საკითხში ანტონიუსსა და ოქტავიანეს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ანტონიუსისთვის კეისარი წარმოადგენდა მხოლოდ ლიდერის კულტს, რომელიც მას სჭირდებოდა ლეგიონერებზე გავლენის შენარჩუნებისთვის. ასევე, კეისრის სახელი მას აძლევდა სენატის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმის იდეოლოგიური გამართლების საშუალებას. ამის გამო, ანტონიუსი არ ჩქარობდა კეისრის გაღმერთების პროცედურას (Ахиев, 2018: 47). ოქტავიანესთვის კი მის მემკვიდრედ აღიარება პოლიტიკურ კარიერაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამით შეეძლო მას მიეზიდა დიქტატორის ჯარისკაცები, რაც ოქტავიანეს ავტომატურად გახდიდა ანტონიუსის წონის გენერლად. ამის გარდა, კეისრის შვილად აყვანის შემთხვევაში მას შეეძლო საკუთარი პოლიტიკის გასამართლებლად ღვთისმოსაობის მოთხოვნის გამოყენება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ვენდეტაზე, ანდა მკვლელების წინააღმდეგ პირად შურისძიებაზე იყო აგებული. ამიტომაც იყო, რომ რომში ჩასვლისთანავე ოქტავიანემ აქტიურად დაიწყო კეისრის ღმერთად ოფიციალურად აღიარების პროცედურის განხორციელება. უფრო მეტიც, კეისრის პატივსაცემად გამართული თამაშების დროს კომეტის გამოჩენა, მაშინვე გამოიყენა, როგორც გარდაცვლილი დიქტატორის სამოთხეში ამაღლების დამადასტურებელ არგუმენტად (Ахиев, 2018: 47).

ოქტავიანეს არ ამშვენებდა გამარჯვებული მხედარმთავრის სახელი. ამ მხრივ ანტონიუსს ადვილად შეეძლო იგი დაეჯაბნა, ამიტომაც ჯარის მიმართ მან ხელგაშლილობა დაიწყო და თითოეულ ლეგიონერს 500 დინარი მისცა (Cic., Att., XVI, 8, 1), რაც ორი თვის ხელფასზე მეტი იყო (Cowell, 1956: 266). ამის გარდა, იგი დაუახლოვდა ციცერონს, რომელსაც მამას ეძახდა. ოქტავიანემ საკმაო ეშმაკობა გამოიჩინა, შენიღბა თავისი ზრახვები და ყველას, მათ შორის ციცერონსაც, რესპუბლიკისთვის მებრძოლად მოაჩვენა თავი. „ოქტავიანე ძალიან მოწიწებით და მეგობრულად მეპყრობა“ – წერდა ორატორი (Cic., Att., XIV, 12, 2). თავდაპირველად, ციცერონი ოქტავიანეს მხოლოდ ეპიზოდურ ყურადღებას აქცევდა, ანდა მაშინ, როდესაც ორატორი თვლიდა, რომ ოქტავიანეს ქმედებებს შესაძლოა გავლენა მოეხდინა რესპუბლიკის აღდგენის მისეულ გეგმებზე (Toher, 2004: 179). ძვ.წ. 44 წლის ოქტომბრის თვეში ოქტავიანემ საიდუმლო პაემანი შესთავაზა ციცერონს, რაზეც ორატორმა, სიფრთხილის გამო დელიკატურად უარი შეუთვალა (Cic., Att., XVI, 8, 1). მეგობრისადმი ბარათში ციცერონი წერდა: ოქტავიანე „მთხოვს რომში დაბრუნებას. მას სურს სენატის მეშვეობით მოქმედება“ (Cic., Att., XVI, 9).

ოქტავიანეს ოჯახი ციცერონის ნაცნობთა წრეს ეკუთვნოდა. ორატორი იცნობდა მის მამინაცვალს – ლუციუს ფილიპეს და ცოლისძმას – მარცელუსს. მონტესკიე (1689–1755) წერდა, რომ პირადი მტრის ანტონიუსის დაღუპვის მიზნით ციცერონმა მიიღო მცდარი გადაწყვეტილება – ხელი შეუწყო ოქტავიანეს აღმასვლას. იმის მაგივრად, რომ ხალხისთვის კეისარი დაევიწყებინა, ამ ნაბიჯით იგი ყოველ წუთში მის სახელს ახსენებდა (Монтескье, 1955: 100).

თანდათან, დარწმუნდა რა სენატური ოპოზიციის უპერსპექტივობაში ციცერონი, რომელსაც ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა სენატში და „იმორჩილებდა ყველას ვისაც მოისურვებდა“ (პლუტარქე, ციცერონი, 45), ერთობ თამამი გეგმა წამოაყენა – ოქტავიანეს გამოყენება ანტონიუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი აზრით, ამით უნდა მომხდარიყო არა მარტო კეისარიანელთა საბოლოო დამარცხება, არამედ მათი გამოყენება ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, სიტყვიერ ბრძოლას ციცერონი ჩაუდგებოდა სათავეში,

ხოლო შეიარაღებულს – ოქტავიანე. მაშასადამე, ციცერონი იქნებოდა პოლიტიკური, ხოლო ოქტავიანე სამხედრო ბელადი (Утченко, 1972: 164). ამიერიდან ოქტავიანე მისთვის გახდა Divinus adolescens (Cic., Phil., V, XVI, 43). თუ ადრე ციცერონი თანახმა იყო დოლაბელას ლეგატობას (Cic., Att., XIV, 14, 4), ამჯერად იგი ტოვებს ყველაფერს, სიძეც მისთვის არაკანონიერად არჩეული კონსული ხდება (Cic., Phil., II, XXXIII, 84), 31 აგვისტოს ბრუნდება რომში და სენატში ოპოზიციის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც დაუპირისპირდა ანტონიუსს.

ციცერონი ჩვეული ენერგიით შეუდგა გეგმის განხორციელებას. ოქტავიანეს შესახებ იგი იტყვის: „საჭიროა მისი გამოკვება და ანტონიუსისგან გარიდება“ (Cic., Att., XV, 12, 3). ორატორმა ახალგაზრდა სენატორებსაც მოუწოდა ოქტავიანესთან კავშირისკენ (Lacey, 1978: 154). თითქოს ოქტავიანეს შეფასებაში ციცერონი არ ცდებოდა. იგი წერდა: „როგორც მივხდი, ოქტავიანეს საკმარისი ჭკუა აქვს და მეჩვენება, რომ ჩვენს გმირებს ისე მოეპყრობა, როგორც ჩვენ გვინდა“ (Cic., Att., XV, 12, 2). ციცერონისთვის დამახასიათებელი იყო ადვილი და სწრაფი გამარჯვებები. ასე იყო ვერესის ანდა კატილინას შემთხვევაში. კლოდიუსთან მან კი გაიმარჯვა, მაგრამ ეს მიაღწია უდიდესი ბრძოლის წყალობით. მართალია კეისართან დაპირისპირებაში ციცერონმა მარცხი განიცადა, მაგრამ შეინარჩუნა მთავარი – ღირსება. მხოლოდ ანტონიუსთან მისმა ჭიდილმა მიიღო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სახე (Белкин, 2002: 133).

ციცერონის გამოსვლა ანტონიუსის წინააღმდეგ დააჩქარა სენატის 1 სექტემბრის სხდომამ. მაშინ განიხილეს კეისრის დღის დაწესების საკითხი, რითაც დასრულდებოდა მისი გაღმერთების პროცედურა. სხდომას შეგნებულად არ დაესწრო ციცერონი, მაგრამ იქ თავი იჩინა ანტონიუსსა და კეისრის სიმამრ ლუციუს კალპურნიუს პიზონს (ძვ.წ. ?–?43) შორის დაპირისპირებამ. ციცერონის ეპისტოლეებში არ ჩანს დაპირისპირების მიზეზი. ფაქტი იყო, რომ პიზონის მოქმედებით ორატორი კმაყოფილი დარჩენილა – „მომბაძაო“ (Cic., Fam., XII, 2, 1). „ფილიპიკაში“ ციცერონი მასზე იტყვის: „მადლობას ვუხდი პიზონს... ის იმაზე არ ფიქრობდა, თუ რას მოუტანდა მისი გამოსვლა სახელმწიფოს, არამედ თუ როგორ უნდა მოქცეულიყო თავად“ (Cic., Phil., I, VII, 15).

ციცერონის არ დასწრება სხდომაზე ანტონიუსმა შეურაცხყოფად მიიღო. მან მოითხოვა ორატორის ძალით მოყვანა და მისი სახლის დანგრევა. არადა, ციცერონს კონსული გაფრთხილებული ჰყავდა, რომ სხდომას ვერ დაესწრებოდა (Утченко, 1993: 162). ჩანს, პიზონთან დაპირისპირებით გაცეცხლებულმა ანტონიუსმა, რომელსაც ორატორის მიმართ ძველი ბოღმაც ჰქონდა, ჯავრი ციცერონზე იყარა და იგი დაადანაშაულა: კატილინარელების დასჯაში, კლოდიუსის მკვლელობის წაქეზებაში, პომპეუს–კეისარს შორის დაპირისპირებაში, სამოქალაქო ომის გაჩაღებაში (Cic., Phil., II, IX, 23) და კეისრის მკვლელობის იდეურ ორგანიზებაში (Cic., Phil., II, XI, 25; XII, 28). ანტონიუსის მხრიდან ორატორზე თავდასხმა ფაქტობრივად ომის გამოცხადებას ნიშნავდა (Утченко, 1993: 162). ანტონიუსის მხრიდან ბრალდება ძალზე მძიმე იყო. იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა ციცერონის პოლიტიკურ რეპუტაციას. მაშასადამე, დადგა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი (Утченко, 1972: 336), ამიტომ მეორე დღეს, ციცერონმა, საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სენატში. ამჯერად სხდომას არ ესწრებოდა ანტონიუსი. ეს იყო ორატორის პირველი „ფილიპიკა“ რომელშიც ავტორმა თავი დაიცვა და ანტონიუსს და კეისარიანელებს რესპუბლიკის დაღუპვაში დასდო ბრალი.

19 სექტემბერს ანტონიუსი ისევ გამოვიდა სიტყვით სენატში. იმის მიუხედავად, რომ ციცერონი იქ არ იმყოფებოდა, მან ვრცლად ილაპარაკა ორატორის, პომპეუსისა და რესპუბლიკელების დანაშაულებრივ კავშირზე. შემდეგში ციცერონი იტყვის, რომ „ანტონიუსმა გადაწყვიტა ხოცვა ჩემგან დაიწყოს“ (Cic., Fam., XII, 2, 1). 28 ნოემბერს ციცერონმა გამოაქვეყნა საპასუხო პამფლეტი - მეორე „ფილიპიკა“, რომელშიც მან ანტონიუსი დაადანაშაულა ყველა მიწიერ ცოდვაში, ხოლო სენატორებს მის მორალურ თუ

ზნეობრივ ასპექტებზე გაუმახვილა ყურადღება. ციცერონის სიტყვით: ანტონიუსი მორალურად გახრწნილი პიროვნებაა. იგი თავიდანვე იყო „ყველასთვის მისაწვდომი მეძავე“ (Cic., Phil., II, XVIII, 44); ორპირი და მატყუარა, რომელიც კეისრის ჩანაწერების გაყალბებით ეწევა „უბინძურეს ვაჭრობას“ (Cic., Phil., II, XVII, 43). იგი შეღავათებს ყიდდა არა „ცალკეულ ადამიანებზე, არამედ მთელ ხალხებზე..., სამოქალაქო უფლებებს აძლევდა არა ცალკეულ პირებს, არამედ მთელ პროვინციებს“ (Cic., Phil., II, XXXVI, 92).

ორატორის განმარტებით ანტონიუსი ქურდია. თუ არა კეისრის სიკვდილი, რით შეძლებდა იგი ვალებიდან ამოსვლას? (Cic., Phil., II, XIV, 35; XXXVII, 93). მანვე მიისაკუთრა პომპეუსის ქონება (Cic., Phil., V, VI, 15). ანტონიუსი მეგობრისა და მწყალობლის მოღალატეცაა. მისი მოგზავნილი კაცი მახვილით ხელში დააკავეს კეისრის სახლში. ამის გამო ამ უკანასკნელმა საჩივარი შეიტანა სენატში, რითაც დაუპირისპირდა ანტონიუსს (Cic., Phil., II, XXIX, 74). ანტონიუსი მკვლელიცაა (Cic., Phil., II, XXIX, 71) და კლოდიუსის „ანთებული ჩირაღდანი“ მის მიერ გაჩაღებული ყველა ხანძრის დროს (Cic., Phil., II, XIX, 48). დაბოლოს, ანტონიუსი უდიდესი დამნაშავეა სახელმწიფოს წინაშე, რადგან მან „ერთადერთმა შეუწყო ხელი მეფის ხელისუფლების დამყარებას“ და „რა სამარცხვინოა, ცოცხალი იყოს ის, ვისაც ახურავს დიადემა, ხოლო მოკლულია ის ვინც მას უარყოფდა“. ოპონენტის დამცირების მიზნით ციცერონმა ანტონიუსი კატილინას და სპარტაკის განსახიერებად ჩათვალა (Cic., Phil., IV, VI, 15) და გლადიატორად მოიხსენია (Cic., Fam., XII, 2,1). საბოლოოდ, აჯამებდა რა გამოსვლას, ციცერონი დასძენდა: ანტონიუსის მმართველობა „არაფრით არ შეიძლება არც მისი ცხოვრების წესით და არც სახელმწიფოს მართვის მეთოდების გამო“ (Cic., Phil., II, V, 1).

„ფილიპიკებში“ წამოყენებული ბრალდებებს საზოგადოებრივი ჟღერადობა ჰქონდათ, რადგან მათში გაცხადდა რესპუბლიკელებსა და კეისარიანელებს შორის ბრძოლის პერიპეტიები. ამიერიდან, ანტონიუსის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე ციცერონმა ითავა. მან იცოდა „ვინც გაანადგურებდა ანტონიუსს, ის დაასრულებდა ომს“ (Cic., Fam., X, 13, 2; XI, 12, 2).

ძვ.წ. 44 წლის ივნისში ანტონიუსმა კომიციას მიაღებინა კანონი პროვინციების შეცვლის თაობაზე. სტრატეგიულად და ეკონომიურად მნიშვნელოვანი ორივე გალიის დაუფლებით იგი კეისარს ბაძავდა (Cic., Att., XIV, 14; 15, 2), რაც მას რომზე კონტროლის საშუალებას აძლევდა. 28 ნოემბრის სენატის სხდომაზე ანტონიუსმა კვლავ მოითხოვა მისთვის ციზალპიური და ტრანსალპიური გალიის პროვინციების გადაცემა. მან შეძლო საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა. სენატის ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა ბრუტუსი. მაშინ ანტონიუსი იარაღით შეეცადა პროვინციის დაუფლებას. ანტონიუსის ეს მოქმედება ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია ახალი სამოქალაქო ომის დასაწყისად.

ანტონიუსთან ომს ციცერონი უკვე თვლიდა შეთქმულთა დაწყებული საქმის ლოგიკურ დასრულებად. არაერთხელ უთქვამს: „ხე მოჭრილია, მაგრამ არა ამოძირკვული“ (Cic., Att., XV, 4, 2). 20 დეკემბერს სენატში მან მესამე „ფილიპიკა“ წარმოთქვა, რომელშიც ანტონიუსი ტირანად წარმოსახა. მჭერმეტყველური ოსტატობის მიუხედავად ციცერონმა მიზანს ვერ მიაღწია – სენატმა ანტონიუსი სახელმწიფო მტრად არ გამოაცხადა. ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მესამე „ფილიპიკა“–თი უკვე ციცერონი წარმოდგა ახალი ომის გამჩაღებლად (Syme, 1939: 315).

ძვ.წ. 43 წლის 1-3 იანვრის მოვლენებით ციცერონი სენატში გამოვიდა V „ფილიპიკათი“. ანტონიუსის მიმართ მისი არგუმენტები კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო, მაგრამ მან მაინც ვერ მიაღწია სასურველ მიზანს. სიტყვაში ორატომა განადიდა დეციმურ ბრუტუსი, ხოლო ოქტავიანეს პროპრეტორის რანგში ამაღლება მოითხოვა (Cic., Phil., V, 17, 48).

იანვარში დაიწყო ომი მუტინასთან. უფრო სწორად ანტონიუსმა ალყა შემოარტყა ქალაქს, რომელშიც დეციმუს ბრუტუსი იყო გამაგრებული. ციცერონი იმედებს ბრუტუსზე

ამყარებდა. კიდეც წერდა: თუ ის გადარჩება ჩვენ გავიმარჯვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დაკარგულია (Cic., Fam., XIII, 6, 2). მან კარგად იცოდა, რომ ომს დაასრულებდა ის ვინც მოსპობდა ანტონიუსს (Cic., Fam., XI, 13). პარალელურად, ანტონიუსის წინააღმდეგ საომარი ოპერაციები დაიწყეს კონსულებმა – ჰირციუსმა და ოქტავიანემ. ციცერონის გათვლით, ალყაში მოქცეულ ანტონიუსს განუდგებოდა ყველა დასავლეთის პროვინცია. იმავდროულად, ციცერონმა სენატორების გააქტიურებისთვის იანვრის შუა რიცხვებში, მათ, მეშვიდე „ფილიპიკათი“ მიმართა. ამჯერად ციცერონის სამიზნე ის სენატორები გახდნენ, რომლებიც ანტონიუსთან შეთანხმებით გამოდიოდნენ. სიტყვაში ციცერონმა განაცხადა, რომ საფრთხე „ჯერ კიდევ შორს იყო დასასრულისგან, რომელიც სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა“. ციცერონმა დაგმო ანტონიუსის მიერ შემოთავაზებული „მშვიდობა“. მისი აზრით, „მშვიდობის სახელით სენატს ომი ეცხადებოდა. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რამდენად ორპირი იყო მუტინას ალყაში მოქცეული ადამიანი. ყოველ ჯერზე, მშვიდობის დაპირებით, ის... უფრო ხელსაყრელ პოზიციას იკავებდა“ (Грималь, 1991: 468). ორატორი დასძენდა, რომ „არაფერია უფრო სამარცხვინო, ვიდრე ასეთი მოქალაქე ან ადამიანი... რომელსაც სამოქალაქო ომი სურს (Cic., Phil., XIII, I, 2).

21 აპრილს, ორმაგ დარტყმაში მოქცეული ანტონიუსი დამარცხდა და თავშესაფარი ნარბონის გალიაში მყოფ ლეპიდუსთან პოვა. 26 აპრილისთვის რომში იცოდნენ მუტინას ბრძოლის დეტალები. ციცერონის ცნობით: ანტონიუსმა დაკარგა „ვეტერანების უმეტესი ნაწილი..., ხოლო მისი ორი არწივი და სამოცი დროშა გამარჯვებულებს დარჩათ“ (Cic., Fam., X, 30, 5). ამჯერად ანტონიუსის მარცხი რომში მის კატასტროფად აღიქვეს. ციცერონის მხრიდან ორთვიანი ძალისხმევის შედეგად სენატმა ანტონიუსი სახელმწიფო მტრად გამოაცხადა (Грималь, 1991: 476). რაც შეეხება დეციმუს ბრუტუსს, მას ტრიუმფის უფლება მიეცა. პასუხად, ბრუტუსმა ივალდებულა ანტონიუსის საწინააღმდეგო ზომების მიღება (Cic., Fam., XI, 9, 1), ხოლო ოქტავიანეს მხოლოდ ოვაცია აკმარეს. ციცერონის შეფასებით მუტინას ომში „გაიმარჯვა სახელმწიფომ“. მანვე კონსულებისთვის და ოქტავიანესთვის მოითხოვა 50 დღიანი სამადლობელო პარაკლისის გადახდა (Cic., Phil., XIV, XI, 29). ციცერონი უკვე საბოლოო გამარჯვებას ხედავდა, რადგან მისი აზრით, ანტონიუსი ჯარის გარეშე დარჩებოდა (Грималь, 1991: 476).

29 მაისს ანტონიუსი და ლეპიდუსი გაერთიანდა, რაც ყველასათვის მოულოდნელი დარჩა (Cic., Brut., I, 2, I; Fam., XII, 9, 2). ყოფილი კეისარიანელების გაერთიანება დიდი ძალა იყო. ასეთ ფონზე, ივნისში, ციცერონის მოთხოვნით სენატმა ლეპიდიუსი სამშობლოს მტრად გამოაცხადა (Cic., Fam., XII, 10, 1), ხოლო ომის წარმოებისთვის 1% ყოველთვიური ქონების გადასახადის დაწესდა, რამაც რომაული ელიტის უკმაყოფილება გამოიწვია (Cic., Brut., I, 18, 5).

დასკვნა

დასასრულ ვიტყვით, რომ პლუტარქეს წყალობით დომინირებდა შეხედულება: ქვეყნისთვის რთულ ვითარებაში, ციცერონმა პოლიტიკურ გათვლებში ლაფსუსები დაუშვა (პლუტ., ციცერონი, 46). რადგან ციცერონის აზროვნებაში მოწინააღმდეგე ცალსახად იყო მტერი, ამიტომაც ქვეყანაში შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე მას ვერ წარმოედგინა თუ შესაძლებელი იყო ოქტავიანეს მხრიდან ანტონიუსთან გარიგებაზე წასვლა. თანამედროვე ლიტერატურაში, უკანასკნელ ბრძოლაში, ორატორი წარმოჩენილია გამოცდილ და მოწიფულ პოლიტიკოსად. შენიშნულია, რომ კეისარსა და პომპეუსს შორის მიმდინარე კონფლიქტს ციცერონი მისაღებ გადაწყვეტად მიიჩნევდა. ამჯერად, სენატური ოპოზიციის უიმედობამ და ახალი სამოქალაქო ომის გარდაუვალობამ, იგი დაარწმუნდა, კომპრომისის ან შერიგების შეუძლებლობაში, ამიტომაც ორატორმა ძველი კეისარიანელების განადგურება ახლელების ხელით მოიდომა. ციცერონის აზრით, თვითონ იქნებოდა პოლიტიკური ლიდერი, ხოლო ოქტავიანე სამხედრო. რომში

მიმდინარე მოვლენების ფიგურანტებიდან ოქტავიანე მართლაც ყველაზე რეალისტურ პერსონად ჩანდა (Утченко, 1993: 163–164).

უნდა ითქვას, რომ ოქტავიანე მოვლენებს პრაგმატული თვალით უყურებდა. ძვ.წ. 43 წლის ნოემბერში, ბონონიაში, იგი შეუერთდა ანტონიუს-ლეპიდუსის კოლიციას. ანტონიუსთან ალიანსი ოქტავიანეს უფრო ნათელ პერსპექტივებს პირდებოდა. საქმე იმაშია, რომ ძველი ინსტიტუტების რადიკალური ცვლილება გარდაუვალი იყო. დროის მოთხოვნა იყო, რომ ყოველწლიურ მაგისტრატიებს არაორდინალური, შეუზღუდავი უფლებამოსილებები მინიჭებოდა. ანტონიუს-ლეპიდუსის კოლიციასთან ალიანსში ოქტავიანე კეისრის მსგავსად მოქმედებდა (Грималь, 1991: 477).

ანტონიუს–ლეპიდუს–ოქტავიანეს ტანდემით შეიქმნა მეორე ტრიუმვირატი. ძალაუფლების განმტკიცებისთვის ტრიუმვირებმა აღადგინეს სულას დროინდელი პროსკრიპციების პრაქტიკა (სურგულაძე, 2009: 403). პროსკრიპცირებული აღმოჩნდნენ რომისა და პროვინციის უმდიდრესი ადამიანები, სულ 300 სენატორი და 2000-ზე მეტი მხედარი (პლუტარქე, ციცერონი, 46). სიაში იყო ციცერონიც.

ციცერონი რომში წონადი ფიგურა იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ანტონიუსს, რომელიც ორატორს პირად მტრად თვლიდა, პროსკრიპცირებულთა სიაში შეეყვანა. დღეს არარეალურია მისი მხრიდან ციცერონზე გაჟღერებული ბრალდებების რეალობის დადგენა – თითქოს ციცერონი მის წინააღმდეგ ხალხს რაზმავდა და ა.შ. (Заговор, 1934: 342). ფაქტია, პროსკრიპციების გამოცხადებით ციცერონმა დაიტირა ქვეყნის ბედი და საკუთარი თავიც „უფრო ძლიერ და ხანგრძლივად, ვიდრე დედამ თავისი ერთადერთი შვილი“ (Cic., Fam., IX, 20, 3). ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო უკვდავი რომ ეგონა, თურმე ერთი კაცის სუნთქვაზე ყოფილა დამოკიდებული (Cic., Pro Marc., VII, 22). თავის დროზე, როსციუსის დასაცავ სიტყვაში ციცერონი წერდა, რომ „პროსკრიპციები ემუქრებოდა არა მარტო პიროვნების თავისუფლებას და სიცოცხლეს, არამედ ხელყოფდა კერძო საკუთრებას და ადამიანთა საზოგადოებას. იგი საშიში იყო იმიტომ, რომ უბედურების მუდმივი სურათების ყურებით კეთილი ხალხი ყრუ ხდება განცდებისთვის“ (Cic., Pro Rosc. Amer., LII, 154).

ძვ.წ. 43 წლის 7 დეკემბერს მიგზავნილმა მკლელებმა „უკანასკნელი რესპუბლიკელი“ სიცოცხლეს გამოასალმეს (Утченко, 1972: 352). შეიქმნა ილუზია თითქოს ორატორი სიკვდილს გულგრილი შეხვდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იგი მეგობარს წერდა: „...დღისით და ღამით ვზრუნავ მხოლოდ ერთის გამო – ჩემი თანამემამულენი იყვნენ უვნებელნი და თავისუფალნი... ისეთ განწყობაზე ვარ, რომ თუ ეს ზრუნვა და ფაციფუცი მოითხოვს სიცოცხლეს, ჩავთლი ჩემს დასასრულს მშვენიერად“ (Cic., Fam., IX, 24, 4). ციცერონს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბუნებით მოცემული სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ მისი კეთილად გავლის ხსოვნა მარადიულია (Cic., Phil., XIV, XII, 32).

ნიშანდობლივია, რომ ძვ.წ. I ს-ში რომში წესად დამკვიდრდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგებისთვის თავის მოკვეთის პრაქტიკა, რაც მოვლენების დამაგვირგვინებელ აქტად მიიჩნეოდა. ასე მოიქცა გაიუს მარიუსი, როდესაც ტერორის დროს მიართვეს ყოფილი მეგობრის მარკუს ანტონიუსის (ძვ.წ. 143–87, ტრიუმვირის ბაბუა) თავი. ციცერონს გაუგზავნეს კატილინას (ძვ.წ. 108–62) თავი. ეგვიპტეში კეისარს მიართვეს გნეუს პომპეუსის (ძვ.წ. 106–48) დაბალზამირებული თავი. მსგავსი სურათი იყო მარკუს კრასუსის (ძვ.წ. ?114–53) და სხვების მიმართ. იგივე გაკეთდა ციცერონთან დაკავშირებით, რომლის მოკვეთილი თავი მიართვეს ანტონიუსს. ორატორის სიკვდილმა შემდგომში ლიტერატურული მითოსის სახეც მიიღო. აბსოლუტურად ყველა მწერალი, რომელიც ამ აქტს შეეხო იყო ერთსულოვანი, რომ დიდი რომაელი დაიღუპა გმირული სიკვდილით. თუ ციცერონის ცხოვრების სხვა ეპიზოდები იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, მას მიაწერდნენ ეგოიზმს, არათანმიმდევრულობას და ა.შ. ამჯერად ყველა ერთსულოვანი იყო, რომ სიკვდილის წინ, როგორც ნამდვილ გმირს შვენოდა ციცერონი მოიქცა ბრწყინვალედ – გულგრილად

მიუშვირა მკვლელებს კისერი (სურგულაძე, 2009: 408–409). ციცერონი იყო რესპუბლიკის დამცველი უკანასკნელი „მარტოხელა ლომი“ და მისი სიკვდილით არსებითად დამთავრდა რომში რესპუბლიკური ოპოზიციის არსებობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსიშვილი, მ. (1961). *გაიუს იულიუს ცეზარი.* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

პლუტარქე, (1975). *ციცერონი, გვ. 583–634. რჩეული ბიოგრაფიები.* ტ. I. ძველბერძნული-დან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

სურგულაძე, კ. (2009). *ციცერონი და რომი.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

Ахиев, С. (2018). Цезарианцы в 44–42 гг. до н. э. *Известия Саратовского университета. Серия «История. Международные отношения».* Т. 18, вып. 1. с. 45-51. Саратов: Издательство «Саратовский университет».

Белинский, В. (1926). *Полное собрание сочинений*. Т. 12. Москва/Ленинград: «Государственное издательство».

Белкин, М. (2002). Цицерон и Марк Антоний: Истоки конфликта. «*Мнемон», под ред. Э. Флорова* с. 133-162. Санкт-Петербург: Издательство «Санкт-Петербургский гос. университет».

Борухович, В. (1983). После мартовских ид 44 г. до н. э. с. 123-154. *Античный мир и археология. Вып. 5*. Издательство «Саратовский гос. университет».

Грималь, П. (1991). *Цицерон.* Москва: Издательство «Молодая гвардия».

Заговор Катилины. (1934). *Перевод, статья и комментарии С.Гвоздева.* Москва/Ленинград: Издательством «Academia».

Макарова, А. (2012). Цицерон как герой в социальной памяти. *Кризисы переломных эпох в исторической памяти.* Под ред. Л. Репиной. с. 38-68. Москва: Издательство «ИВИ РАН».

Машкин, Н. (1949). *Принципат Августа.* Москва-Ленинград: Издательство «Академии Наук СССР».

Монтескье, Ш. (1955). *Избранные произведения.* Москва: Издательство «Госполитиздат».

Утченко, С. (1972). *Цицерон и его время*. Москва: Издательство «Мысль».

Утченко, С. (1993). Трактат Цицерона «Об обязанностях» и образ идеального гражданина. С. 159–174. Марк Туллий Цицерон. О старости. О дружбе. Об обязанностях. Москва: Издательство «Наука».

Цветаева, Т. (1947). Народные волнения в Риме после убийства Юлия Цезаря. *ВДИ. №1. с. 226-233.* Москва-Ленинград: Издательство «Академии Наук СССР».

Шифман, И. (1990). *Цезарь Август*. Москва: Издательство «Наука».

Billows, R. (2009). *Julius Caesar: The Colossus of Rome (Roman Imperial Biographies).* London-New York: Publisher «Routledge».

Cicero. (1967). *Letters to Atticus*. Ed by D.R. Shackleton Bailey, v. 6 (44 b.c.): Publisher “Cambridge University Press”.

Cicero. (1958). *The Letters to his Friends*. V. 3. With an English translation by W.Glynn Williams, London: Publisher “Harvard University Press”.

Cicero. (2002). *Letters to Quintus and Brutus*. Translated by D.R. Shackleton Bailey. Handbook of Electioneering. V. 462 (Loeb classical library). Cambridge: Publisher “Harvard University Press”.

Cicero. (2015). *Pro Marcello*. p. 422–453. The Loeb Classical Library 252. Cambridge, MA: Publisher “Harvard University Press”.

Cicero. (2025). *Pro Sexto Roscio Amerino oratio.* p. 122–265. Translated by J. H. Freese. The Loeb Classical Library 240. Cambridge, MA: Publisher “Harvard University Press”.

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica prima*. s. 10-30. Staatsreden, Dritte teil, Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica secunda*. s. 32-94. Staatsreden, Dritte teil, Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica tertia,* s. 96-116. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica quinque*, s. 118-124. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica Qvinta*, s. 126-154. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica tredecim*, s. 268-298. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *In M. Antonius oratio philippica quattuordecim*, s. 300-320. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cowell, F. (1956). *Cicero and the Roman Republic.* London: Publisher: "Pelican Books (Penguin)".

Lacey, W. (1978). *Cicero and of the Roman Republic*. London: Published by Hodder and Stoughton.

Plutarch. (1988). Life of Antony (Cambridge Greek and Latin classics). Edited by C.B.R. Pelling. Cambridge: Publisher "Cambridge univ. Press".

Plutarch. (1918). *Brutus. p. 125-247*. Lives. V. VI. Translated B. Perrin. Loeb Classical Library 98. Cambridge, MA: London: Publisher "W. Heinemann; Harvard University Press".

Syme, R. (1939). *The Roman Revolution*. Oxford: Publisher «The Clarendon Press».

Toher, M. (2004). Octavian's arrival in Rome, 44 b.c. *Classical Quarterly*, Vol. 54, No. 1, p. 174–184. Publisher "Cambridge univ. Press".

Wiseman, T. (2009). After the Ides of March. *Remembering the Roman People. Essays on Late Republican Politics and Literature.* p. 211–234. Oxford: Publisher "OUP Oxford".

REFERENCES

Aleksishvili, M. (1961). Gaius Iulius Cezari *[Gaius Iulius Cezar].* Tbilisi: Publishing "Nakaduli".

Plutarqe. (1975). Ciceroni. gv. 583-634. Rdsheuli biografiebi, t. 1. *[Cicero. Selected Biographies, Vol. I].* ZvelberZnulidan targmna, shesavali tserili da ganmartebebi daurto A. Urushadzem *[Translated from the original Greek, with an introduction and appendices by A. Urushadze].* Tbilisi: Publishing "Soviet Georgia".

Surguladze, K. (2009). Ciceroni da Romi *[Cicero and Rome].* Tbilisi: Publishing "Universal".

Akhiev, S. (2018). Cezarianci v 44–42 gg. do n.e. *[The Caesarians in 44–42 BC].* Izvestia Saratovskogo Universiteta. *Seria "Istoria. Mejdunarodnie otnoshenia" [Izvestia of the Saratov University. Series "History. International Relations"].* v. 18, issue 1. p. 45–51. Saratov: Publishing "Saratov University".

Belinsky, V. (1926). *Polnoe sobranie sodchinenii [Complete Works].* v. 12. Moscow/Leningrad: "State Publishing House".

Belkin, M. (2002). Ciceron i Mark Antonii: Istoki konflikta. C. 133-162 *[Cicero and Mark Antony: Origins of the Conflict. p. 133-162]. "Mnemon", pod. Red. E. Frolova ["Mnemon", edited by E. Florova]:* Publishing house "Saint Petersburg State University".

Borukhovich, V. (1983). Posle martovskikh id 44 g. do n. e. *[After the Ides of March 44 BC. pp. 123-154].* Antidshnii mir i Arkheologia. Vip. 5 *[The Ancient World and Archaeology. Issue 5]:* Publishing "Saratov State University".

Grimal, P. (1991). *Ciceron [Cicero].* Moscow: Publishing «Molodaya Gvardiya».

Zagovor katilini. (1934). *[The Conspiracy of Catiline].* Translation, article, and commentary by S. Gvozdev. Moscow/Leningrad: Publishing "Academia".

Makarova, A. (2012). Ciceron kak geroi v socialnoi pamiati *[Cicero as a Hero in Social Memory. p. 38-68].* Krizisi perelomnikh epoch v istoridsheskoi pamiati. Pod red. L. Repina [*Crises of turning points in historical memory. Edited by L. Repina].* Moscow: Publishing "IVI RAN".

Mashkin, N. (1949). *Principat Avgusta* [*The Principate of Augustus].* Moscow-Leningrad: Publishing "the USSR Academy of Sciences".

Montesquieu, C. (1955). *Izbranie proizvodstvo [Selected Works].* Moscow: Publishing "Gospolitizdat".

Utchenko, S. (1972). *Ciceron i ego vremia [Cicero and his time].* Moscow: Publishing "Mysl".

Utchenko, S. (1993). *Traktat Cicerona «Ob obiazanistiach» I obraz idealnogo grajdanina [Cicero's Treatise "On Duties" and the Image of the Ideal Citizen].* p. 159-174. *Mark Tulii Ciceron. O starosti. O drujbe. Ob obiazanostiach [Marcus Tullius Cicero. On Old Age. On Friendship. On Duties].* Moscow: Publishing "Nauka".

Tsvetaeva, T. (1947). Narodnie volnenia v Rime posle ubiistvo Iulia Cezaria *[Popular unrest in Rome after the assassination of Julius Caesar]. VDI. №1. s. 226-233 [VDI. No. 1. p. 226-233*]. Moscow-Leningrad: Publishing "the USSR Academy of Sciences".

Shifman, I. (1990). *Cezar Avgust [Caesar Augustus].* Moscow: Publishing "Nauka".

Billows, R. (2009). *Julius Caesar: The Colossus of Rome (Roman Imperial Biographies).* London-New York: Publisher "Routledge".

Cicero. (1967). *Letters to Atticus*. Ed by D.R. Shackleton Bailey, v. 6 (44 b.c.): Publisher "Cambridge University Press".

Cicero. (1958). *The Letters to his Friends*. V. 3. With an English translation by W.Glynn Williams, London: Publisher "Harvard University Press".

Cicero. (2002). *Letters to Quintus and Brutus*. Translated by D.R. Shackleton Bailey. Handbook of Electioneering. V. 462 (Loeb classical library). Cambridge: Publisher "Harvard University Press".

Cicero. (2015). *Pro Marcello [For Marcellus].* p. 422–453. The Loeb Classical Library 252. Cambridge, MA: Publisher "Harvard University Press".

Cicero. (2025). *Pro Sexto Roscio Amerino oratio [A speech for Sextus Roscius Amerinus].* p. 122–265. Translated by J. H. Freese. The Loeb Classical Library 240. Cambridge, MA: Publisher "Harvard University Press".

Cicero. (1970). *Erste Philippische Rede gegen M. Antonius. s. 10-31*. Staatsreden, Dritte teil, Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *Zweite Philippische Rede gegen M. Antonius. s. 32-95*. Staatsreden, Dritte teil, Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *Dritte Philippische Rede gegen M. Antonius. s. 96-117.* Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *Vierte Philippische Rede gegen M. Antonius. s. 118-125*. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *Fünfte Philippische Rede gegen M. Antonius. s. 126-155*. Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *Dreizehnte Philippische Rede gegen M. Antonius. s. 268-299.* Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cicero. (1970). *Vierzehnte Philippische Rede gegen M. Antonius. s. 300-320.* Staatsreden. Dritte teil. Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Darmstadt: Published "Wissenschaftliche Buchgesellschaft".

Cowell, F. (1956). *Cicero and the Roman Republic.* London: Publisher "Pelican Books (Penguin)".

Lacey, W. (1978). *Cicero and of the Roman Republic*. London: Published "Hodder and Stoughton".

Plutarch. (1988). *Life of Antony* (Cambridge Greek and Latin classics). Edited by C.B.R. Pelling. Cambridge: Publisher "Cambridge univ. Press".

Plutarch. (1918). *Brutus. p. 125-247. Lives. v. VI.* Translated B. Perrin. Loeb Classical Library 98. Cambridge, MA: London: Publisher "W. Heinemann; Harvard University Press".

Syme, R. (1939). *The Roman Revolution*. Oxford: Publisher "The Clarendon Press".

Toher, M. (2004). Octavian's arrival in Rome, 44 b.c. *Classical Quarterly*, Vol. 54, No. 1, p. 174–184. Publisher "Cambridge univ. Press".

Wiseman, T. (2009). After the Ides of March. *Remembering the Roman People. Essays on Late Republican Politics and Literature.* p. 211–234. Oxford: Publisher "OUP Oxford".